პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა
5
ოქტომბერი
№ 230
(17873)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს პილოტებს, შტურმანებს, დისპეტჩერებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას რესპუბლიკის დედაქალაქის აეროპორტის ყველა მშრომელს, რომლებმაც აეროფლოტის სისტემაში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებანი ყველა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით.

მიღწეული წარმატებები პილოტების, შტურმანების, დისპეტჩერების, მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, თბილისელ ავიატორთა მთელი მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგია. ეს შრომითი გამარჯვება მოწმობს საწარმოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გაზრდილ მაორგანიზებელ და მამობილიზებელ როლს.

საჰაერო ტრანსპორტს, რომელიც მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის მასობრივ სახეობად იქცა, დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში.

სასიხარულოა, რომ თქვენს კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია დარგობრივ და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ასრულებდა რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების შესახებ, — აეროპორტი ფოლეტმა მეათე ხუთწლედის წლებში გადაიყვანა 5 მილიონზე მეტი მგზავრი, გადაზიდა 50 ათას ტონაზე მეტი სასწრაფო სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ფოსტა და სახელმწიფოს მისცა 32 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

პასუხსაგები ამოცანები დგას ავიატორთა წინაშე მომავალ ხუთწლედში. მათ უნდა განამტკიცონ საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაზარდონ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის მოცულობა, აამაღლონ მგზავრთა მომსახურების კულტურული დონე, აგრეთვე აითვისონ ფრენა თბილისის აეროპორტიდან საერთაშორისო რეისებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს კოლექტივი არ დასჯერდება მიღწეულს, კვლავაც ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას არ დაიზოგავს ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

დაგელოცოთ მარჯვენა, ჩვენო მევენახეებო!

ნახევარმილიონიანი მიჯნა გადალახულია!

არის 518. 145 ტონა ყურძენი!

დავეშურეთ დარიან ამინდებს, დროზე, დროზე მოვირთვლიანოთ!

მოდით და ნახეთ შირაქი

ჰექტარზე — 300 ცენტნერი ყურძენი!

ბამა-პაპის სისხლით გაპოხილ შირაქის ველზე კარგა ხანია სიცოცხლე ჩამკვდარიყო. მტერმა გადაბუგა სოფლები, გადაჭრა და ამოძრკვა ვენახი, ერთ ადგილას კი, სადაც სოფელი არხილოსკალონ, ბავშვების კალო ულეწიათ. აიყარა ხალხი, ვინ იცის, ვინ საით წავიდა, სად დაიდო ბინა.

მხოლოდ ამ საუკუნის გარიჟრაჟზე კვლავ დაეტყო შირაქს სიცოცხლის კვალი. მანამდე კი თუშ-ფშავ-ხევსურების ცხვრის საძოვრად იყო გადაქცეული. გაივლო ხნულის პირველი კვალი, სახლს ჩაეყარა საძირკველი, ავარდა კვამლი — ერთგან, ორგან, სამგან... აქვე აანთო „კომუნარის" პირველი ცეცხლი კობა ჩოხელმა.

გატეხეს შირაქის ყამირი, სიკეთის თესლი მიაბარეს მიწას და ერთიათად, ერთიანად მოიმკეს.

ახალმოსახლეები დამკვიდრდნენ, გამრავლდნენ, ფუძე დაუდეს სოფელს, ბაღსა და ვენახს.

— იქნებ ჩვენს ნასოფლარებს დავუბრუნდით? — იტყვიან ხოლმე აქაურები.

— ვინ იცის!

მოდით და ნახეთ განახლებული შირაქი — ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოსკალო! — აშენებული, გალაღებული და დამშვენებული. არავის, წითელწყაროს რაიონში, ტოლს არ უდებენ. მარტო ცხვარსა და საქონელს კი არ მწყემსავენ, პური მოჰყავთ შინდის სისხო, ათასობით ჰექტარ ვენახს უვლიან.

დიახ, მარტო სოფელ ზემო ქედს ზილიჩასა და შირაქში 1.500 ჰექტარი ვენახი აქვს, მათ შორის 400 ჰექტარზე მეტი მსხმოიარეა. მასზე ირანაკლები — არხილოსკალოსა და ქვემო ქედსა აქვთ.

ბევრჯერ აუვსიათ ტკბილი შარბათით ამ სოფლებს კოლმეურნეობის თუ სახელმწიფოს ქვევრ-მარანი. წელს კი, რომ იტყვიან, ზღვა მოსავალი მოვიდა

— ჰექტარზე 150-200 ცენტნერი, ზოგან მეტიც.

— მაინც, როგორ მოიყვანეთ ასეთი მოსავალი, — შევეკითხეთ სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირს არჩილ სისაურს, რომელმაც უკვე 1.000 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფა. მან სათვალე შეისწორა და ჩვეული ღიმილით გვიპასუხა:

— წელს არაფერი არ დაგვიკლია ვენახისათვის და ამ მადლიანმა მცენარემაც გაგვახარა.

— ჰექტარზე ას ორმოცდაათი იყო ნავარაუდევი, მაგრამ ეს რა არის! ზოგი სამასსაც არ დასჯერდა. — მხარზე ხელი დაადო შუახნის ახოვან ვაჟკაცს და თქვა: — აი გოგლა არაბულმა ჰექტარზე სამას ცენტნერს გადაჭრაბა! ოთხ ჰექტარ ზვარს უვლის. ჰექტარზე საშუალოდ 310 ცენტნერი ყურძენი მოიწია. 280-290 ცენტნერ ყურძენს ღებულობენ გიორგი ოღაძე, თამარ პეტრიაშვილი, თინა არაბული, მათ გულით შეიყვარეს ვაზი, მართლაც შვილივით უვლიან მას.

— აქ მევენახეთა თოთხმეტი ბრიგადაა და ვერ ვიტყვით, რომ რომელიმეს ოდნავ მაინც ხელი შეეშვას ვენახისათვის, იმაზე ნაკლები მოსავალი მიეღოს, რაც დაგეგმა, რაც ვალდებულებით იკისრა.

უფრო მეტად კი ვლადიმერ მკერვალიძის, მიხეილ ბეგოიძის, ვასილ გიგაურის ბრიგადები შეგვიქეს. მათი მევენახეები ბაბალე ჩოხელი, ელენე ელიზბარაშვილი, სოფიო პაპიაშვილი, სირან მელიქიშვილი ჰექტარზე საშუალოდ 150-200 ცენტნერს ღებულობენ.

— ვენახი ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა. — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა არსენ კობაიძემ, — აი ისინი, ახლა რომ გვქონდა ლაპარაკი, ზოგი რვა, ზოგი ათი ათას მანეთს მარტო პრემიას მიიღებენ. კოლმეურნეობის შემოსავალიც, მარტო ვენახებიდან ოთხ მილიონ მანეთს გადაამეტებს.

— ახლა არხილოსკალოსა და ქვემო ქედს არ იტყვით? უკანასკნელ 4-5 წელიწადში თითოეულმა 500-600 ჰექტარზე გააშენა ვენახი. გააშენა, გაახარა, მოუარა და შედეგიც მოიმკო. ალაზნის ველზე, ზილიჩაში ზოგიერთ ფართობზე 150-200 ცენტნერი ყურძენი მოიკრიფა, საშუალო მოსავლიანობა კი სიგეგმის 30-40 ცენტნერით სჭარბობს. დიახ, ამიტომ არის, რომ კრეფენ და ვერ მოუღეგიათ ვენახი ქედელებს. რთველში მათ ეხმარებიან ჯაფარიძელები, ზემომაჩხაანელები, არბოშიკელები, ისინი, ვინც თავიანთ ზვრებში უკვე მოირთვლიანეს, სამშობლოს არათუ გეგმის, ნაკისრი ვალდებულების შესრულებაც კი უპატაკეს. აქვე არიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, მოსწავლეები. მანქანები ვერ ასწრებენ ყურძნის გამოზიდვას.

ზღვა დალეულა კოვზითა, ზვარი, ვენახი — გოდრითაო, ნათქვამია, და ასეც იქნება. წითელწყაროელთა სიტყვა სახელმწიფო მარანში — 50.000 ტონა ყურძენი! — საქმედ იქცა. ზემოქედელთა ანგარიშზე 5.000-ის ნაცვლად 8.000 ტონა დაიწურა. ეს წელს, გაისად თითქმის ერთიორად, იქითა წელს — ერთიასამად მეტი იქნება!

დაე, იხაროს ვენახმა,
ნავენახარის ალაგას;
გამრავლდეს ვაზი და ჭიგო,
ყურძენი — ერთიათასად;
გალაღდეს მთიელის გული,
დაბრუნებულის ნასახლარს.

ვლ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონობით)

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის" 4 ოქტომბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება	მოიკრიფა 3 ოქტომბერს
გურჯაანის	150.000	140.240	3.951
თელავის	95.000	77.041	4.141
ყვარლის	80.000	68.106	2.406
სიღნაღის	65.000	64.543	1.817
ახმეტის	60.000	34.823	1.593
წითელწყაროს	50.000	50.700	312
საგარეჯოს	40.000	17.550	1.396
ლაგოდეხის	20.000	15.784	486
მარნეულის	22.000	22.409	22
გარდაბნის	10.500	4.445	320
ბოლნისის	16.000	14.145	93
თეთრიწყაროს	3.000	776	176
მცხეთის	15.000	1.179	352
ხაშურის	6.200	1.849	300
ორჯონიკიძის	7.000	232	24
ზესტაფონის	30.000	477	57
თერჯოლის	25.000	766	514
კასპის	10.000	194	110
დუშეთის	2.800	194	66
მაიაკოვსკის	20.000	608	312
ვანის	20.000	478	251
საჩხერის	7.000	288	49
სამტრედიის	2.500	120	42
წყალტუბოს	4.000	120	—
წულუკიძის	1.000	24	1
ჭიათურის	2.100	57	57
ტყიბულის	500	20	3
მახარაძის	800	19	—
ჩოხატაურის	3.700	59	40
გეგეჭკორის	2.500	48	3
ცხაკაიას	1.200	115	9
ჩხოროწყუს	1.100	23	6
ზუგდიდის	2.000	13	5
აჭარის ასსრ	1.900	100	17

ზვრების ბარაქა

სულ კახეთის რაიონებში რთვლის დაწყებიდან მოკრეფილია 468.878 ტონა ყურძენი. 3 ოქტომბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 18.431 ტონა.

რესპუბლიკაში 4 ოქტომბრისათვის სულ მოკრეფილია 518.145 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 156.859 ტონით მეტი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 50 წლისაა

4 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ზეიმობა. დილიდან ინსტიტუტის კომპლექსის წინ ვორკის ქალთებზე გაშენებულ უზარმაზარ პარკში შეიკრიბა ათასობით ადამიანი — უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები და სტუდენტები, სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულები, მოსკოვიდან, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი სტუმრები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

ამ პარკის შექმნასა და გაფორმებაში, სადაც შრიალებს წორჩი ხეები, გაშენებულია ყვავილნარები და ჩქეფს შადრევნები, ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის ბევრი რაიონის მშრომელები, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების მუშაკები.

ზეიმობაზე მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ი. ჩერქეზია, ვ. რ. პაპუნიძე, ე. კ. შარტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. შეველუხა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შეკრებილთა ტაშის გრიალში გადაჭრა წითელი ლენტი ინსტიტუტის დამაარსებლების — მისი პირველი მეცნიერებისა და მასწავლებლების ხელივნის წინ, რომელთა ხსოვნის აღსანიშნავად აქ დადგმულია მათი ბრინჯაოს ბიუსტები.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ დღესასწაულში, დაათვალიერეს ინსტიტუტის ტერიტორია.

შემდეგ გაიმართა უმაღლესი სასწავლებლის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი მიესალმა ინსტიტუტის კოლექტივს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით.

მან წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებისათვის გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და უმაღლესი სასწავლებლის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, რომელიც მან გადასცა ინსტიტუტის რექტორს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შექმნისა და განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა მისმა რექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ი. მეტრეველმა.

ინსტიტუტის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, მოსკოვიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ლიტვიდან, უზბეკეთიდან ჩამოსული სტუმრები, სტუდენტები და ინსტიტუტის ყოფილი კურსდამთავრებულები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელები.

გვიან საღამომდე გრძელდებოდა დღესასწაული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კადრების სამჭედლოს ცხოვრებაში სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად.

(საქინფორმი).

სსრ კავშირში ვიზიტის გამო

ინდოეთის პრეზიდენტი ნ. ს. რედი

დღეს თბილისში ჩამოდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მყოფი ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნილამ სანჯივა რედი.

ნ. სანჯივა რედი დაიბადა 1913 წლის 19 მაისს ანდჰრა პრადეშის შტატში. ჰუმანიტარული განათლება მიიღო მადრიდის უნივერსიტეტში.



30-იანი წლების დამდეგს შეიდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიაში. აქტიურად მონაწილეობდა მოქალაქეთა ურჩობის კამპანიაში, რამდენჯერმე დაპატიმრეს ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებმა და საპატიმროებში იმყოფებოდა მცირე ხანგძლივობით 1940-დან 1945 წლამდე. 1936-46 წლებში იყო ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ანდჰრა პრადეშის შტატის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, 1960-62 წლებში — ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის თავმჯდომარე.

1949-1951 წლებში მუშაობდა მადრასის შტატის საბინაო მშენებლობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად. 1953-1963 წლებში იყო ანდჰრა პრადეშის შტატის საკანონმდებლო კრების წევრი, შტატის მთავარი მინისტრის მოადგილე და მთავარი მინისტრი.

1963-1967 წლებში ნ. ს. რედის ცენტრალურ მთავრობაში ეკავა ინდოეთის ფოლადისა და შახტების, აგრეთვე ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციის, ნაოსნობისა და ტურიზმის მინისტრის პოსტები.

1967 წელს აირჩიეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის სპიკერად.

1977 წელს პარლამენტის არჩევნების შედეგად ნ. ს. რედი კვლავ გახდა სახალხო პალატის სპიკერი, ხოლო 1977 წლის ივნისში აირჩიეს ინდოეთის პრეზიდენტად.

ნ. ს. რედი ორჯერ იყო საბჭოთა კავშირში. თანამიმდევრულად იღვწის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ იმედს, რომ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

დღესასწაულს გილოცავთ, მასწავლებელო!

მასწავლებლის დღეს მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ყვანიამ.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა მასწავლებელზე თქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ. ადამიანებზე, რომლებიც ყოველ ახალ დღეს ცოდნის დღესასწაულად, გარემო სამყაროს აღმოჩენის სიხარულად აქცევენ, გულთბილად ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში მეცნიერებმა და სტუდენტებმა, მუშამ და კომკავშირულმა მუშაკმა.

კრებაზე გამოქვეყნდა 1979-1980 სასწავლო წლის საუკეთესო სკოლისათვის გამართული საქალაქო კონკურსის შედეგები.

კრებას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

აღვზრდელი, დამრიგებელი

თბილისის მე-100 საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ნანა ჩოჩუამ ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, შემდეგ კი კვლავ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა პედაგოგის დიპლომით.

სკკპ წევრობის კანდიდატი ნ. ჩოჩუა მე-16 წელია დედა ენას ასწავლის პატარებს. დაწყებითი კლასის მასწავლებელი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას და მოწინავე მასწავლებელთა რიგებშია.

სურათზე: ბავშვები მასწავლებლის დღეს ულოცავენ ნ. ჩოჩუას.

ვ. ბენგბიურის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საინჟინრო და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის და 150-ე წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.

1980 წლის 4 ოქტომბერი.

ყურადღების ცენტრშია პროდუქციის ხარისხი

მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დამთავრდა

4 ოქტომბერს თბილისში მუშაობა განაგრძო წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილმა მეორე რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ.

მუშაობდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და დაგეგმვის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის და იურიდიული სექციები. სექციებზე მოისმინეს ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა, მეცნიერთა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, მშენებლობების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებები.

კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ თბილისის მოწინავე საწარმოთა მუშაობას.

გაიმართა დასკვნითი პლენარული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სექციათა ხელმძღვანელების ცნობები სექციათა მუშაობის დროს განხილულ ძირითად საკითხებზე, წინადადებები კონფერენციის რეკომენდაციათა პროექტის თაობაზე.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

პარტიული და სახელმწიფო აპარატის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

ყოველი დღე გვაახლოებს სკკპ XXVI ყრილობასთან. ყრილობისათვის მზადება განსაზღვრავს ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ყველგან ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ამ ფრიად მნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, მიმდინარეობს შეძენილი გამოცდილების განზოგადება, გამოუყენებელი შესაძლებლობათა ძიება. სხვა პრობლემებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართვის სისტემის სრულყოფას. სამმართველო პროცესების ორგანიზაციისა და ეფექტიანობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი წინსვლის ტემპი, მთლიანად საზოგადოებრივი პროგრესის შედეგები.

როგორც ცნობილია, მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია პარტიული და სახელმწიფო ორგანოების აპარატი. იგი უზრუნველყოფს კომუნისტებთან, ყველა მშრომელთან პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უაღრესად მჭიდრო კავშირს. ეს არის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, საზოგადოების მთელი საქმეებისადმი ხელმძღვანელობის აუცილებელი ინსტრუმენტი.

აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები ფართოდ აისახა და შემოქმედებითად განვითარდა პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელების ნაშრომებში. ამ პრობლემის ბევრი ასპექტი ღრმად არის გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს ახალ წიგნში[1]. წიგნში საფუძვლიანად არის განალიზებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აპარატის როლის, ამოცანების და მუშაობის პრინციპების უმნიშვნელოვანესი დებულებანი.

●

მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მართვის აპარატის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების სახელთან, აღნიშნულია წიგნში. ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა, რომ ახალი სოციალისტური წყობილების მართვის მანქანა უნდა მოქმედებდეს ზუსტად, გამართულად, სწრაფად. მისი მუშაობის მოუწესრიგებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს არა მარტო ცალკეულ პირთა ინტერესებს, არამედ მართვის მთელ საქმესაც მოჩვენებითი ხასიათი ეძლევა.

ვ. ი. ლენინი საზოგადოების მართვაში უმნიშვნელოვანეს ადგილს მიაკუთვნებდა პარტიულ აპარატს. მან ზუსტად განსაზღვრა მისი ძირითადი რგოლების მდგომარეობა, ადგილი და მნიშვნელობა. საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ბირთვი — პარტია არ ეწევა სახელმწიფო ორგანოების მაგიერობას. იგი ილაშქრებს მათი წვრილმანი მეურვეობის წინააღმდეგ. თავისი გადაწყვეტილებანი, როგორც ეს ჩაწერილია რკპ (ბ) VIII ყრილობის რეზოლუციაში, პარტიამ უნდა განახორციელოს „საბჭოთა ორგანოების მეშვეობით **საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში.** პარტია ცდილობს **უხელმძღვანელოს** საბჭოების საქმიანობას, და არ გასწიოს მათი მაგივრობა“. ეს პრინციპული დებულება დაკვიდრებულია ახალ ძირითად კანონშიც.

წიგნში გაშუქებულია ლენინური მოთხოვნები, რომლებიც წაყენებული აქვს პარტიულ და სახელმწიფო აპარატს. ულენარეს ყოველთა ეს არის მუშაკთა იდეური მრწამსი და პარტიული პრინციპულობა, პარტიის პოლიტიკის გაუნყრელი განხორციელება, მასებთან კავშირის მუდმივი გაფართოება და განმტკიცება, სოციალიზმის ინტერესების ყოველნაირი დაცვა. ამავე დროს ლენინი აღნიშნავდა ისეთ მნიშვნელოვან ნიშნებსაც, რომლებიც უნდა ჰქონდეს მართვის ახალ აპარატს: ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, მიღწეული შედეგების თვითკრიტიკული შეფასება, მუშაობის მაღალი კულტურა, სიზუსტე, შეთანხმებულობა, ოპერატიულობა, შემსრულებლობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი.

პირველ სამ თავში თანდათანობით შექმნება პარტიული და სახელმწიფო აპარატის შექმნა, განვითარება და განმტკიცება. ნაჩვენებია მიმართულებანი, რომლებითაც მიმდინარეობდა ძიება, წარმოებდა მტკიცე ბრძოლა კვალიფიციური, ეკონომიური ბიუროკრატიზმისგან თავისუფალი მართვის აპარატის შექმნისათვის. ამის შედეგად, აღნიშნავს ავტორი, შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანოების ახალი სისტემა ცენტრში და ადგილებზე. ამ სისტემამ გაუძლო დროის გამოცდას, იგი დღენიადაგ იხვეწება. ყოველ ისტორიულ ეტაპზე, იმ ამოცანების გათვალისწინების კვალობაზე, რომლებსაც პარტია და მთავრობა წყვეტენ, აპარატის საქმიანობა ახალი შინაარსით ივსება, უფრო ღრმა და მრავალმხრივი ხდება. სამმართველო პერსონალი სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიც, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზით მიმავალი ხალხები ფართოდ სწავლობენ დ ა იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში მართვის ლენინურ იდეებს.

●

ბევრი ამოცანის გადაწყვეტა უნდება პარტიულ და სახელმწიფო აპარატს. ყველა ორგანოს თუ მას არ მოჰყვება ზუსტი ორგანიზატორული მუშაობა. „ვიღვწოდეთ პარტიული გერგილიანობისათვის, ხაზგასმულია წიგნში, ნიშნავს ყოველმხრივ აღმოვფხვრათ პრაქტიკიდან სიტყვისა და საქმის გათიშვა, ფუჭი პროექტიორობა, სასხდომო ფუფუნი და გაუთავებელი მსჯელობა გარკვეულ საკითხებზე, როგორც ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, ისე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დავნერგოთ საქმის ზუსტი ორგანიზაცია, გვქონდეს უნარი დაგრაზოთ და გავიყოლიოთ მასები, მივაღწიოთ დასახულს.

კომუნისტურ გერგილიანობას არაფერი აქვს საერთო ვიწრო პრაქტიციზმთან, უმწეობასა და შეზღუდულობასთან, რომლებიც ხელს გვიშლის ავმაღლდეთ ამწუთიერ ამოცანებზე. პარტია აფასებს კომუნისტებისა უნარს ხედავდნენ პერსპექტივას, მთელ მეცადინეობას აბმარდნენ მთავარ მიმართულებებს, ზოგავდნენ დროს— საკუთარსაც და ამხანაგებისასაც, თავს აღწევდნენ ყოველდღიურ წვრილმანებს, იძენდნენ, როგორც ლენინი გვირჩევდა, შესაძლებლობას „დადინჯებით ჩაუფიქრდნენ მთელ მუშაობას“. ამ თვისებების უქონლობამ —ასკვნის ავტორი, — შეიძლება გააბათილოს ნებისმიერი დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატება“.

კომუნისტური გერგილიანობის საუკეთესო თვისებების გამომუშავებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ისინი საშუალებას გვაძლევენ დროულად გამოვსაწოროთ ნაკლოვანებანი, თავიდან ავიცილოთ სერიოზული შეცდომები და ხარვეზები, განამტკიცებს ხელმძღვანელთა კავშირს მასებთან, ამაღლებს მათს ურთიერთმომთხოვნელობას საერთო საქმის ინტერესებისათვის. პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო განვითარება პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური სიჯანსაღ ი ს, პ ა რ ტ ი ი ს და ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის სწორად გაგების ნიშანია. კრიტიკა ქმედითია მაშინ, როცა იგი დასაბუთებული და პრინციპიულია. აქვს ზუსტი მისამართი, საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი, ასახავს სიძნელეთა წარმატებული დაძლევით, ნაკლოვანებათა სწრაფი აღმოფხვრით დაინტერესებს. იგი ყველ ა ზ ე სრულად იქ ვითარდება, ასკვნის კ. უ. ჩერნენკო, სადაც კომუნისტებს შეგნებული აქვთ, რომ ნამდვილი დემოკრატია წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მტკიცე დისციპლინა და თითოეულმა არ გამოიჩინა მაღალი პასუხისმგებლობა ერთად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

წიგნში დაწერილებთ არის განხილული პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის კოლექტიურობის არსი და მნიშვნელობა, რაც გამომდინარეობს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპიდან, რომლის საფუძველზეც ყალიბდება, მუშაობს და ვითარდება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასის პარტიებს შორის პირველმა აქცია ეს პრინციპი ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპად —პარტიული და საბჭოთა ორგანოების ნორმალური მუშაობის უცილობელ პირობად. მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში გამოიცადა მისი ღირსება, ძალა და ცხოველუნარიანობა. პარტიუ ლ ი და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ნამდვილი კოლექტიურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა სოციალისტური დემოკრატიის განუხრელი განვითარება. ამასთან საყოველთაოდ ცნობილია ლენინის მითითებანი, რომ საჭირო განსაკუთრებით ზუსტად დადგინდეს თითოეულის პირადი პასუხისმგებლობა გარკვეული, მკაცრად და ზუსტად განსაზღვრული სამუშაოსა თუ მისი ნაწილისათვის.

წიგნში ყურადღებას იპყრობს ის გვერდები, რომლებიც ეხება შესრულების კონტროლსა და შემოწმებას. კონტროლი მიჩნეულია ფართო მასების რევოლუციური შემოქმედების კონკრეტულ გამოვლინებად, სოციალისტური სახელმწიფოს მართვაში მათი ჩაბმის უმნიშვნელოვანეს ფორმად, საზოგადოების ბედისათვის პასუხისმგებლობის ჩნერგვის ეფექტიან საშუალებად. წიგნში ხაზგასმულია, რომ კონტროლი უნდა იყოს საჯარო და ოპერატიული, ქმედითი. ამასთან ძირითადი აზრი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, იმდენად ის კი არ არის, რომ ვამხილოთ ბრალეულნი, რამდენადაც ის, რომ უზრუნველვყოთ მიღებული გადაწყვეტილებანი და დირექტივების უთუო შესრულება, დროულად ავიცილოთ თავიდან შეცდომები და ნაკლოვანებანი, პრაქტიკულად შევუწყოთ ხელი საქმის გაუმჯობესებას.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრი პარტიული კომიტეტის პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს იმის შემოწმების ღრმა, შემოქმედებითს სრულყოფას, რაც ჭქმით გამოდის. სულ უფრო გადაჭრით აღიკვეთება ის ფაქტები, როცა კონტროლი ფორმალურ შემოწმებას სჯერდება, ზედმეტად აწვალებენ მუშაკებს, ეძებენ მხოლოდ ნეგატიურ მხარეებსა და უარყოფითს მომენტებს. აპარატის მუშაკთა წინაშე, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ დღეს უწინარეს ყოვლისა დგება ამოცანა „ჩასწვდნენ“ არსს, ფრთხილად შეაგროვონ ყოველივე დადებითი, მიაგნონ ნაკლოვანებათა ფესვებსა და მიზეზებს, ხელი შეუწყონ მათს აღმოფხვრას. „უკანასკნელი წლების განმასხვავებელი თავისებურება, — აღნიშნავს კ. უ. ჩერნენკო, — ის არის რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები სულ უფრო ხშირად ამოწმებენ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობას კომპლექსურად. პარტია მოითხოვს გადაჭრით უკუაგდონ მრავალრიცხოვან ზერელე ფორმალურ შემოწმებათა მანკიერი სტილი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ზოგიერთ ორგანიზაციაში“.

წიგნი უურადღებას მიაპყრობს ამ საქმეში არსებულ სხვა ნაკლოვანებებსაც. ზოგჯერ აპარატი ყურადღებას უთმობს არა პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციას, არამედ მრავალრიცხოვან ღონისძიებების შემუშავებას, ყოველგვარ ცნობებს, ანგარიშებს მომზადებას. ზოგან საკითხეს ისმენენ არა იმ დადგენილებებს მიხედვით, რომელთა შესრულების დროსაც საჭიროა ჩარევა, არამედ იმ დადგენილებებს მიხედვით, რომლებსაც გაუდის შესრულების ვადა, თუმცა აქ საქმე კარგად მიდის, გადაწყვეტილებათა შესრულების ინფორმაციებში ხშირად ღრმად არ არის გაანალიზებული ვითარება, ჩამოთვლილია ღონისძიებანი, მაგრამ არ არის კონკრეტულად აღნიშნული, ფაქტობრივად რა გაკეთდა, როგორია საბოლოო შედეგი.

„ჩვენ გვიჭირდება ისეთი კონტროლი, — აჯამებს პრობლემის, კვლევის შედეგს ავტორი,— რომელიც აღზრდის, შემოქმედებითს აზრს გაუღვიძებს ადამიანს, აძლებნებს მას დაუცხრომელი წინსვლის გზებს, აპყავს მუშაობა მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების უმაღლეს მიღწევათა დონემდე, ხელს გვიწყობს უკეთ დაენახოთ ჩვენი აღმშენებლობითი საქმიანობის პერსპექტივა“.

წიგნში გაშუქებულია პარტიის მრავალმხრივი მუშაობა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის პარტიული და სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისათვის. დღეს, აღნიშნავს ავტორი, პარტიული ორგანოების პრაქტიკულად მთელ ხელმძღვანელ შემადგენლობაში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები არიან. მიმდინარე წლის დამდეგისათვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების 99,5 პროცენტს ჰქონდა უმაღლესი, მათ შორის 71 პროცენტზე მეტს — საინჟინრო-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლება. საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 99,3 პროცენტს, მათ შორის 60 პროცენტზე მეტი სახალხო მეურნეობის სპეციალისტები არიან. მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა და სამეურნეო აპარატის მუშაკთა მომზადების დონე.

პარტია პრაქტიკულად თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინის მითითებას მართვის აპარატში „რიგითი მუშებისა და გლეხების დაწინაურების შესახებ, რომელთა შორის ბევრს აქვს როგორც ადმინისტრაციული, ისე ორგანიზატორული ნიჭი“.

პარტიული და სახელმწიფო აპარატის წარმატებული საქმიანობის საწინდარია მისი ურთიერთობის ყოველმხრივი განმტკიცება უფართოეს მასებთან. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა მშრომელთა წერილებზე მუშაობა. პარტია, აღნიშნულია წიგნში, იცავს და ამრავლებს განცხადებებისა და წინადადებების, საჩივრებისადმი ყურადღებიანი, სათუთი, კეთილმოსურნეობითი დამოკიდებულების ლენინურ ტრადიციებს.

წიგნი შეიცავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებას, რომელიც მან გამოთქვა პარტიულ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე, რომ წერილებზე მუშაობა — ეს არ არის მარტო მათი კითხვა ან დაგზავნა შესაბამისი მისამართებით. იგი გულისხმობს იმ საკითხთა ღრმა ანალიზს, რომელსაც მშრომელები აყენებენ ამ დოკუმენტებში, მათს განზოგადებას.

წერილებზე მუშაობა პარტიული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბნების დონეზეა აყვანილი. მშრომელთა წინადადებიდან, რჩევიდან გამომდინარე მრავალი საკითხი პრაქტიკულად ხორცშესხმულია პარტიისა და მთავრობის, ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

წერილებზე მუშაობის ეფექტიანობა შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს უფრო მაღალი, წერს კ. უ. ჩერნენკო. მისი გაუმჯობესების რეზერვები არსებობს, რადგან ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებანი. დღემდე ზოგან მშრომელთა წერილებს უყურებენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ პირად მიმართვებს. არის ფაქტებიც როცა განმცხადებლებ ი არაერთგზის მიმართვაენ ადგილობრივ ინსტანციებს, მაგრამ უშედეგოდ. ეს მუშაობა ყოველნაირად უნდა გაუმჯობესდეს.

წიგნში საფუძვლიანად ,ერის გაანალიზებულია პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მოქალაქეთა მიღების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის საკითხები. ასახულია პარტიული ორგანოების მრავალმხრივი მუშაობა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობისათვის.

წიგნის ღრმა შინაარსი, უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა, მათ შორის ადრე გამოუქვეყნებელი დოკუმენტებიც, საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს პარტიული და სახელმწიფო აპარატი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში და, უთუოდ, ხელს შეუწყობს კომუნისტების, მთელი ჩვენი კადრების შემოქმედებითი აზრის განვითარებას, იმას რომ გამოიძებნოს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გზები და საშუალებანი სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებისას და წარმატებით განხორციელდეს ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დაისახება მეთერთმეტე ხუთწლედში.

„პრავდა“, 4/X.

[1] კ. უ. ჩერნენკო. **პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები.** მ. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა, 1980 წელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50 წლთან დაკავშირებით ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფებს მიენიჭათ საპატიო წოდებები: „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“, „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“, „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

(საქინფორმი).

პარტიასა და ხალხს ერთი მიზანი აქვს

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის პირველ მეცადინეობებზე

ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა რესპუბლიკაში პირველი მეცადინეობები მშრომელთა პარტიული და კომკავშირული სწავლების, ეკონომიკური განათლების სისტემაში. თემამ — „ლენინური კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია“ განსაზღვრა მეცადინეობების როგორც შინაარსი, ასევე მიმართულება. ამ მეცადინეობებმა გამოავლინა კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტიური მისწრაფება დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მისი დებულებები გამოიყენონ ცხოვრებაში, პრაქტიკაში.

თბილისის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროდუქციის ხარისხის მართვის განყოფილების უფროსი, პროპაგანდისტი რ. გიორგაძე, მეცადინეობა ჩატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჯ. გილაშვილმა.

* * *

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს თეორიული სემინარის მსმენელთა მეცადინეობას ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში პირველი მეცადინეობა ჩაატარეს ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, ს. ე. ხაბეიშვილმა, ზ. ა. ჩხეიძემ, ბ. ვ. ადლეიბამ, ფ. ს. სანაკოევმა, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო მუშაკებმა. (საქინფორმი).

იმაღლებენ კვალიფიკაციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მეჩვიდმეტე პლენუმის შესაბამისად იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და იურიდიკო-პოლიტიკური წრთობის საკითხებს მიეძღვნა საქალაქო-რაიონული კონფერენციები, რომელიც მოაწყო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა მუდმივმოქმედმა კურსებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

მოიმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების ი. სიხარულიძისა და ა. ბენდიანიშვილის მოხსენებები.

იუსტიციის ორგანოთა კადრების მომზადებისა და გადამზადების აქტუალურ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა, სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსმა ა. გოგიბერიშვილმა, პროფესორმა ნ. წერეთელმა და სხვ.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
დღიურის ფურცლებზე

საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

ეხმაურებიან საბჭოთა წინადადებებს

ნიუ-იორკი. მსოფლიო გაერთიანების წრეებში ფართოდ გამოხმაურნენ წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის მემორანდუმში „მშვიდობისა და განიარაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროების გარანტიებისათვის“. იგი გავრცელდა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტი. გენერალური ასამბლეის სესიაზე გამართული საერთო-პოლიტიკური დისკუსიის მთელი მსვლელობა, რომლის ყურადღების ცენტრშია იყო, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხები, ბევრად ეხებიანება საბჭოთა მემორანდუმის ძირითად დებულებებს.

საბჭოთა წინადადებების განხორციელება, თქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ჩარეკმა, მნიშვნელოვანწილად შეამცირებს ომის საფრთხეს, რომელიც კაცობრიობას შეექმნა. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცების დიდ მნიშვნელობას რომ შეეხო, მან მხარი დაუჭირა ამის, რომ შეიქმნას უბირთვო ზონები, კერძოდ ევროპაში, შვიდობის ზონები სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ინდოეთის ოკეანის რაიონში.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნგუენ კო თხატმა აღნიშნა, თუ რა დიდი როლი აკისრია საბჭოთა ინიციატივებს შვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებაში, გამალებული შეიარაღების ალაგმვაში, და ხაზი გაუსვა, რომ ყველა საერთაშორისო დავა უნდა მოგვარდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე გამართული მოლაპარაკების გზით.

დაძაბულობის კერებისა და სახელმწიფოთა შორის უნდობლობის თანდათანობითი აღმოფხვრა, თქვა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მიტოტაკისმა, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოები თავს შეიკავებენ და არ გამოიყენებენ ძალას, ან არ მიმართავენ მისი გამოყენების მუქარას.

ჩვენ უარვყოფთ დაშნების ყოველგვარ დოქტრინას, ხაზი გაუსვა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. პერეს-ლორკამ, ვინაიდან იგი ძირს უთხრის მშვიდობასა და უშიშროებას. საჭიროა, თქვა მან შემდეგ, წინააღეუდგეთ გამალებულ შეიარაღებას, განსაკუთრებით ბირთვულ შეიარაღებას, რომელიც უზარმაზარ რესურსებს ნთქავს და ქვეყნად დაძაბულობას ამწვავებს.

ტანზანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. მკაპაჰ ხაზი გაუსვა, რომ ყოველივე, რაც მიღწეულია განიარაღების დარგში, ჯერ კიდევ არ შეესაბამება კაცობრიობის მიზნებს.

„კომუნისტის“ კომენტარი

„ჩინური კოზირის“ კატაკლიზმები

რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „კომუნისტში“ ჩინეთ-ამერიკის სამხედრო კავშირის თაობაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ჩვენს კომენტარს ასე ეწოდებოდა — „თანამშრომლობა თუ სამხედრო ალიანსი?“ როგორც ჩანს, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ბერდა მოვლენათა შეფასება. ამ დღეებში კი თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრესამ ცხადყო ყოველივე. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ვრცელი წერილი უძღვნა ამ პრობლემას.

როგორც გაზეთი წერს, ჯერ კიდევ 8 წლის წინათ პენტაგონის „ტვინის ცენტრმა“ „რენდ კორპორეიშენმა“ მოამზადა საიდუმლო მოხსენება, სადაც კონკრეტულად იყო დასაბუთებული პეკინთან სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობანი. თეთრი სახლის რეალური გეგმები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული 1978 წლამდე, როდესაც ვაშინგტონმა დაჩქარებული ტემპით დაიწყო პეკინთან დაახლოება და ე. წ. ორმაგი დანიშნულების სამხედრო ტექნიკის მიწოდება. ამერიკული გაზეთი არ მალავს, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საზიანოდ ჩინეთთან დაახლოების კურსმა მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია სახელმწიფო დეპარტამენტის უფროს ექსპერტთა შორის, მაგრამ „ქორებმა“ და მათმა ლიდერმა ზბიგნიევ ბჟეზინსკიმ თავისი გაიტანეს.

სინტერესოა, რომ ორიოდე წლის წინათ მეორე ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, აანალიზებდა რა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის პერსპექტივებს, წერდა, რომ ამერიკის მთავრობის წრეებში სამი სკოლაა, სამი მიდგომა არსებობს „ჩინეთის კოზირის“ გათამაშების საკითხზონი: გაზეთის აზრით პირველი იყო „ბლეფი“, — შეერთებული შტატები ემაყოფილდება მხოლოდ რიტორიკით, რათა „სიმშვიდე დაუფრთხონ რუსებს“. მეორე მიდგომა იყო — „მკიდრო კავშირები“ — ითვალისწინებდა სადაზვერვო მონაცემების გაცვლას, ჩინეთში ამერიკის ელექტრონულ მოწყობილობათა დადგმას და არაბირთვულ შეიარაღებაში თანამშრომლობის პირობების შექმნას. მესამე მიდგომა — ჩინეთის შეიარაღებას ითვალისწინებდა.

ზემოხსენებულ წერილში „ვაშინგტონ პოსტი“ სამართლიანად მიუთითებდა უკმაყოფილებაზე, რომელსაც ამერიკელთა შორის თეთრი სახლის კურსი იწვევს. ამაზევე მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში ამას წინანდელი კამათი, როდესაც აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეთა ქვეკომისიის თავმჯდომარემ ს. ფულფმა ასეთი შეკითხვა დაუსვა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს — „რამდენად ზუსტად გვაქვს წარმოდგენილი პეკინის გეგმები ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ?“. ეს საკითხი დღეს მარტო ვუსფს არ აღელვებს. ჭვეყნის მახობრივი ინფორმაციის ორგანოები სულ უფრო და უფრო დაბეჭითებით აკრიტიკებენ პრეზიდენტის სტრატეგიას „ჩინურ კოზირთან“ დაკავშირებით.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ხალხის გამოსვლების ჩახშობის მიზნით სალვადორის მმართველი რეჟიმი იყენებს მასებთან ბრძოლის ყველა ხერხს, ანატრმრებს პროფკავშირულ ხელმძღვანელებს, ჩხრეკს მუშათა უბნებს, ადგილზე უსწორდება საეკვო პირებს. ყოველდღიურად ტერორს ათობით კაცი ეწირება.

სურათზე: დაპატიმრება სან-სალვადორის ქუჩებში.

საბჭოთა ფოტოქრონიკა.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲛᲔᲑᲐ

ანკარა. თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განაახლოს გამოძიება თურქეთში ამერიკის ავიაკომპანიის „ლოკჰიდის“ საქმიანობის გამო.

როგორც ცნობილია, ამ კომპანიას სახელი გაუტყდა იმ უკანონო ოპერაციების მხლეების მთელი სერიის შემდეგ, რომლებიც „ლოკჰიდმა“ მოაწყო მთელ რიგ ქვეყნებში.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

● **პარიზი.** საფრანგეთის სამხედრო ასიგნებანი, როგორც ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი იუწყება, გაიზად მომდინარე წელთან შედარებით 17,9 პროცენტით გაიზრდება და 123,21 მილიარდ ფრანკს მიაღწევს.

● **ქაბული.** უწიგნურობასთან ბრძოლის ახალი კურსები იხსნება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში. როგორც ბაბრარის სააგენტო იუწყება, რამდენიმე ასეთი სასწავლებელი ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ლაზნის პროვინციაში.

● **ადის-აბება.** ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ეროვნული მშენებლობის პროცესებში მათი ჩაბმის ღონისძიებებს იხილავენ ეთიოპიის დედაქალაქში გახსნილ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობენ აფრიკის 40 სახელმწიფოს, აგრეთვე მთელი რიგი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ბაღდადი, 4 ოქტომბერი. ირანერაყის საბრძოლო მოქმედების რაიონებიდან ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები მოდის.

ერაყის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ირანის ავიაცია გუშინ თავს დაესხა ქალაქების ამარის, კუტის, ჯალულისა და კურნის ობიექტებს.

ერაყის თვითმფრინავებმა მასირებული ცეცხლი დაუშინეს ირანის ჯავშანსატანკო ჯარებსა და სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე ობიექტებს ქალაქ დიზფულის რაიონში. ერაყის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ცეცხლი დაუშინეს აბადანის რაიონის სამხედრო ობიექტებს და დიდი

ენერგეტიკოსთა თათბირი

იმსჯელეს ენერგომომარაგების საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხებზე

თბილისში მუშაობა დაამთავრა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სამხრეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ზონალურმა თათბირმა, რომელშაც განიხილა სამხრეთის ოლქების, მხარეების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების 1980-81 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგომომარაგების საიმედო უზრუნველყოფის, აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვის საკითხები.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს უფროსმა ი. ჭედიამ უთხრა, თათბირზე შემუშავდა ენერგეტიკის განვითარების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების კონკრეტული რეკომენდაციები. „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს ენერგოგასაღების ენერგოინსპექციის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში უკანასკნელ ხანს მიღწეულია გარკვეული დადებითი ძვრები ელექტროენერგიის გამოყენებაში. წლევანდელი წლის პირველ ექვს თვეში დაზოგილია 38 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ გეგმით გათვალისწინებულის ერთი პროცენტი.

განსაკუთრებით ეკონომიურად ხარჯავენ ელექტროენერგიას თბილისის მეტროპოლიტენში, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, თბილისის სასაცვლე ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებაში და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით, მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, ბათუმის მანქანათსაშენებელ, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნებზე, მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებზე, რომლებმაც დიდძალი ელექტროენერგია გადაბარჯეს.

ძალზე არადამაკმაყოფილებლად იყენებენ თბოენერგიას.

ენერგორესურსების ხარჯვის ეკონომიისა თვის ბრძოლის აუცილებელი პირობაა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე სათბობის, ენერგიის ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დანერგვა. მაგრამ ასეთი ნორმები ყველგან არ არის ან გადადებულია. ბევრ საწარმოში ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მისი ნორმების დაცვის ოპერატიულ კონტროლს.

თათბირზე, თქვა დასასრულს ამხანაგმა ჭედიამ, გამოითქვა რწმენა, რომ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, საწარმოების ხელმძღვანელები ღრმად გააანალიზებენ ენერგომეურნეობის მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს, რომ არ დაუშვან შეფერხებები 1980-1981 წლების ზამთრის პერიოდში ენერგიით საწარმოების მომარაგების საქმეში.

(საქინფორმი).

●

ვეტერანი კვლავ მწყობრშია

ცხაკაია. (საკ. კორ.). კირილე ბაღათურია ერთ-ერთი იმთგანია, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პარტიის საქმეს, სამშობლოს წინსვლას მოახმარა, ომში და მშვიდობიან შრომაში დიდი ერთგულება და თავდადება გამოიჩინა, რისთვისაც რამდენინე ორდენი და მედალი დაიმსახურა.

მაგრამ ძალები არ ამოწურულა — კიდევ შეიძლება მწყობრში ყოფნა. კ. ბაღათურია აირჩიეს ვეტერან კომუნისტთა საბჭოს თავმჯდომარედ. ამ საბჭოში გაერთიანდნენ აგრეთვე ძველი კომუნისტები დ. ჭუბაბრია, შ. ალანია, ს. ტაბაღუა, პ. ზარქუა და სხვები. ვეტერანთა საბჭო აქტიურად ეხმარება პირველადს პარტორგანიზაციებს, პარტის რაიონულ კომიტეტს პრაქტიკულ ღონისძიებათა მოწყობაში. საბჭოს წევრები განსაკუთრებით ხშირად ხვდებიან ახალგაზრდა კომუნისტებს, უზიარებენ მათ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებას, კეთილსინდისიერი შრომისა და საზოგადოებრივი აქტიურობის საუკეთესო მაგალითს აძლევენ.

ბ. მილიუტინი.

დასვენების მშვიდი დღეები

საით და რა ხნით?

წავიდა, მაგრამ
საით და რა ხნით,
წავიდა, მაგრამ
როდის და რისთვის?
ქვეყანა ისევ სავსეა ხალხით,
ადის და ჩადის,
იძვრის და ისმის.

დაადებ თავს და
რუსთველის გამზირს
ჩაუვლი ლანდებს
ახლოს, სულ ახლოს
და ფეხით ზომავ
შენ არა მანძილს,
არამედ დროს,
დროს,
აწმყოს და ნამყოს;

და ფეხით ზომავ
ხმაურს და ძახილს,
და ფეხით ზომავ
სიცილს და კისკისს...
წავიდა, მაგრამ საით და რა ხნით,
წავიდა, მაგრამ როდის და რისთვის?!

შენ, შემოქმედო!

ვინც გეამბორა,
ვინც შემოგბედა —
მეც გეამბორო,
მეც შემოგბედო:
გამყევ ბოლომდე ძველ შემოქმედად,
კვლავ მომეც ძალი, შენ, შემოქმედო!

კვლავ მოვედ ჩემად,
როგორც მოხვედი;
კვლავ მითხარ შენებრ —
მიდი, გამხნევდი:
ვაქციო ჰანგად ჩემი კოლხეთი,
ვაქციო ჰანგად ჩემი კახეთი.

გულის სამღერი,
სულის სამღერი,
გულისმიერი,
სულისმიერი —
ვაქციო ჰანგად იმერ-ამერი,
ვაქციო ჰანგად ამერ-იმერი.

გულით ალალით,
სულით ნათელით,
კვლავ გეამბორო,
კვლავ შემოგბედო:
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი,
სხვა არაფერი, შენ, შემოქმედო!

აგვისტო

დღეს დაიწვები, ჩემო თბილისო,
გავარვარებულ ცეცხლის ალმურში;
მშვიდობით, ჩემო
ცავ უტკბილესო —
მეც ანანურში,
მეც ანანურში!

მეც გზად ფიქრში და
სვეტიცხოველში
შენი ბედის და მშვიდი ძილისთვის...
ცაო, ყოველთვის,
ცაო, ყოველთვის
ამ მზით, ამ ცეცხლით
დაწვი თბილისი!

ბუნების აზრი ყველაზე დიდი

ბუნების აზრი ყველაზე დიდი
ყველაზე მცირეს —
უხილავ ატომს
ზაფრით და შიშით,
კრძალვით და რიდით,
ლოცვით და ფიცით
მე ვკითხავ: — რატომ?!

რაღაა ჩემი ფასი და წესი,
რაღაა ჩემი აზრი და მრწამსი,
თუ მე რაც დავდგი
მთელ ათას წლებში,
შენ ახლა ძალგიძს
სულ რაღაც წამში,

სულ რაღაც წამში,
სულ რაღაც წუთში —
და შველა არსად,
და შველა ვერსად...
გვაჩუქე ცოდვილთ
ეს ცრუ და ფუჭი
ქვეყანა ქვეყნად და ზეცა ზეცად;

მოყვარე მოყვრად,
და მტერი სამტროდ,
ნათელი ნათლად
და ბინდად ბინდი...
ვუჩოქებ მუხლზე უმცირეს ატომს
ბუნების აზრი ყველაზე დიდი.

არ გაქვს უფლება

არ გაქვს უფლება,
არ გაქვს უფლება
გულით მღელვარით,
სულით მდუღარით
არ ქუხდე, როცა ცა იქუფრება
გინდ სეტყვის ღრუბლით,
გინდ ცრუ მუქარით.

არ გაქვს უფლება,
არ გაქვს უფლება
ელოდო უხმოდ
სეტყვის დაშენას —
აქუხდი, სანამ ცა აქუხდება,
აქუხდი ქვეყნის გადასარჩენად.

როგორც ყოველთვის,
როგორც ყოველთვის,
თქვი რისხვა მგოსნის,
რისხვა ბრალმდებლის...
მაგრამ, ო, სიტყვა, სიტყვა პოეტის
დღეს ისმის მხოლოდ
ხმად მღაღადებლის.

და როცა ფიქრობ
იმ შავ ამინდზე,
და როცა ფიქრობ ჭირზე მთავარზე —
შენ ძალგიძს მხოლოდ
ლოცვად გარინდდე,
შენ ძალგიძს მხოლოდ
მუხლზე დავარდე.

ისევ იქ, მაღლა
დგას ომის ეტლი,
იქ, ცაში, სადაც
ბედის ნისლია,
და შენ არ იცი,
ყრუ ლოცვის მეტი
დღეს ქვეყნის ხსნისთვის რა შეგიძლია.

სულ არაფერი

სულ არაფერი,
სულ არაფერი,
სრულ სიმშვიდეში
მთები მინაზდნენ....
შორს, ანაპისკენ მიქრის კატერი,
როგორც ალმასი ფანჯრის მინაზე;

შემდგარი გზაზე,
როგორც ლაფეტი
ლურჯდება ქედი
ახალ ათონის;
შორს, მთაზე ღრუბლის თეთრი ნაფლეთი
ნაპრალში ელავს როგორც ტამპონი,

ფრიალებს პალმა
და შუბლს იგრილებს,
ცა ათას მზედ რომ
თავს დასწოლია;
აქანებს სიო, როგორც გვირილებს
ზღვისპირის ქვებზე ათას თოლიას.

გარინდდა სვეტი
მაღალ ანტენის,
როგორც ლოდინი
რაღაც ხიფათის...
სულ არაფერი, სულ არაფერი—
ზღვაზე საღამო დადგა თიბათვის.

დასრულდა ათი ხუთწლედი

დასრულდა შენი ათი ხუთწლედი,
შენი სიცოცხლის ხუთი ათწლედი;
შენ არ უსმენდი,
შენ არ უცქერდი —
შენ მთელ შენს სულს და
შენს გულს აძლევდი.

არა მნახველი,
არა გამგონი
ათას ზმანების,
ათას მირაჟის —
გავიდა ყველა ათი ვაგონი
შენს სულში, როგორც
წიფის გვირაბში.

მშვიდობით წლებო!
სანახაობით,
გულის ზეიმით,
სულის წამებით
ჩვენ ერთად ვწუხდით,
ერთად ვხარობდით,
ერთად მოვედით, ერთად წავედით.

ერთად მოვედით,
სულით მოქმედით,
ერთი ბუნების,
ერთი თაობის;
მოვედით, როცა მიწა კოლხეთის
ჯერ კვლავ ინვოდა შხამის ჭაობით.

მოვედით, როცა
ცისფერ ზღაპრებით
ჯერ ფესვს იდგამდა
ხვალის სამკელი;
როცა პირველი სხივი ლამპრების
მთებში შეიჭრა, როგორც სკალპელი.

მოვედით ერთად,
ერთად შევერთდით
ბედით ზიარით,
ბედით ზვიადით;
მოვედით, როცა ცა და ხმელეთი
იწვოდა ნამდვილ ენთუზიაზმით.

მშვიდობით, წლებო!
რწმენის სახელით
მაწროობდით თქვენც და
მეც თავს გაცნობდით;
თქვენ, თქვენ სავსეთ ჩემი სამღერი
სინედლით, ხიბლით და ვაჟკაცობით.

მშვიდობით, წლებო!
ჩვენი თაობის
გულის ზეიმით,
სულის წამებით,
ჩვენ ერთად ვწუხდით,
ერთად ვხარობდით,
ერთად მოვედით, ერთად წავედით.

ჯერ კიდევ...

ჯერ კიდევ გქონდეს ჩემი იმედი,
ჯერ კიდევ წონის
ჩემი სასწორი...
გააწყვე ჩემი საგებ-საწოლი,
დაწმინდე ჩემი ფანჯრის მინები.

ღვთის მაღალ კანონს
ქვეყნად ვინ ასცდა —
ნისლებში ქრიან
ბედის ეტლები;
შენ უჩემობას
ვერ გრძნობ წინასწარ,
უჩემოდ მისთვის არ მემეტები.

ხანშესულა ჩემი,
თქვი, რომ არ გჯერა —
გამომწვარ სვეტის,
მაღალ დაძაბვის;
მიიკარ ღაწვზე ჩემი მარჯვენა,
როგორც ფოთოლი ხმელ მრავალძარღვის.

შინ მოვალ, მოვალ
კვლავ ვაჟკაცურად,
ქალაქის დღით და
ჯაფით დაღლილი;
დამიდე თავთან ღამის ნათურა,
იობის წიგნი და ანალგინი.

სიმშვიდე სახლში
კვლავ ძველებური, —
სიმტკიცის ჩვენის
ძველი თაოდები!
და რაც გინდ პირზე
მაკლდეს ფერ-ფური,
გჯეროდეს, დილით ფეხზე ავდგები.

მაშრიყ-მაღრიბი,
ჩინ-მაჩინეთი —
თუ ყალყზეც შედგეს
ქვეყნის სასწორი —
გააწყვე ჩემი საგებ-საწოლი,
ჯერ კიდევ გქონდეს ჩემი იმედი.

ახლა რომ იცი

ახლა რომ იცი ყველაფრის ფასი;
ახლა რომ იცი ყველაფრის ყადრი;
ახლა რომ იცი ყველაფრის არსი;
ახლა რომ იცი ცოდვა და მადლი.

ახლა რომ იცი ყველაფრის ზომა;
ახლა რომ იცი ყველაფრის წონა;
ახლა რომ იცი ყველაფრის ზონა;
ახლა რომ იცი ყველაფრის წვდომა.

ახლა რომ იცი მცირე და დიდი;
ახლა რომ იცი კდემა და რიდი;
ახლა რომ იცი ნაღდი და ფლიდი;
ახლა რომ იცი ინდი და მინდი.

ახლა რომ ხედავ საგმობს და საქებს;
ახლა რომ ხედავ ნათელს და ლაქებს;
ახლა რომ ხედავ საშველს და სარკმელს;
ახლა რომ ხედავ საგნებს და საქმეს —
სრულ ცხრაზე
ცისფერ
ეკრანთან ჩაგთვლემს,
როგორც ცხელ გზებზე დაქანცულ აქლემს.

ბრინჯაოს მადნით

შენ იცი მხოლოდ,
ხომ სხვამ არავინ,
რაც შენ ვერ ზიდე,
რაც ვერ დაძარი;
რაც შენ ვერ შეძელ
გულით ალალით,
ან რაც, უბრალოდ, ვერ მოასწარი.

არის, რაც არის,
არის, რაც არის —
შენც ღირს ხარ,
ღირს ხარ,
შენც, შენც გეკუთვნის;
შენც აგე შენი უბისს ტაძარი,
შენც დადგი შენი ციხე გეგუთის.

შენც, შენც ხმლით ხელში
სამკალს იმკიდი,
შენც წერე შენი წიგნი ოთხთავი...
უკვდავიც კვდება, როგორც რიგითი,
უკვდავიც კვდება, როგორც მოკვდავი.

შენც ფასი დადე
შენს თავს სხვასავით,
დღეს რომ შენს წამმზომს
უკვე დასცქერი, —
არ იყოს წუთი უკანასკნელი
ზღვაში ხელების უხმოდ სავსავი.

ბრინჯაოს მადნით
შენ ხარ ნაგები,
დრომ, გულით რაც სურს,
ხვალ ის აკეთოს, —
რაც უფრო მეტად დაიჟანგები,
შენც ფასი მეტად უნდა დაგედოს.

ნუ დაშინდება
გული ალალი,
იჭვის სატკივრით
ნუ დაშინდება —
ხომ უკვდავება
სხვა რამ არ არის,
ვიდრე ძილის წინ გულდამშვიდება.

იტალიის გახსენება

დაცარიელდა შუადღის რომი,
მზემ ქალაქს თითქოს
თავზარი დასცა.
დასრულდა ჩვენი
„მგოსნების ომი“ —
გამზირი „კორსო“,
სასტუმრო „პლაცა“.

ხელთ არვის დაგვრჩა ალამი ძლევის,
არც არვის ძლევის დარჩა იმედი...
მარიო ლუცი
და კარლო ლევი,
პალიარანი
და სანგვინეტი,

დავზავდით... დავცხრით...
ჩვენ ისევ ჩვენი —
ჩვენ ჩვენი ზმნით და
ჩვენი რიტმებით;
თქვენ ისევ თქვენი, ვერლიბრის ენით,
თქვენი ზმნით, თქვენი ალგორითმებით.

დავცხრით... დავზავდით...
არის, არ არის
სადაო, სამტრო და გასაყოფი:
შორი სილურჯე
ზეცის კამარის,
მარადი კითხვა ყოფნა-არყოფნის.

გზა უკვდავების,
თუ გზა დაღუპვის,
გზა აზრის ბნელის,
აზრის ბრწყინვალის...
რა გასაყოფი,
რა გასაყოფი,
როცა ქვეყანა
წარღვნის წინ არის.

როცა დღესა ვართ,
როცა დღესა ვართ,
ნიშანს რომ ელის
ყველა ცისკარი;
როცა ბობოქრობს
და დუღს ერთთავად
ქვეყანა, როგორც ყურე ბისკაის.

ვართ შიგ მიზანში,
ვართ შიგ ნიშანში,
პრესის, ეკრანის
ჯვარზე გაკრულნი:
ისმის ვაგონში დილის რიტრაუზე
გამყოლის კლიტის ცივი კაკუნი.

დავზავდით...
დაცხრა სიტყვა კვიატი
მზად გამართული,
მზად გაჩარხული....
ჩამოვდგით დასლზე ათი „კიანტი“ —
მშვენიერების ჩვენ ვართ მსახურნი.

მშვენიერება, მშვენიერება!
ვაშა, პლანეტის გრძნეულ ავგაროზს!
„ქვეყანას იხსნის მშვენიერება“,
მშვენიერება იხსნის სამყაროს.

ეს არ მოხდება —
რომის ფორუმი
შავი ატომის ფერფლმა დაფაროს;
იყოს ზეიმი აზრის, მონურის, —
მშვენიერება იხსნის სამყაროს.

ეს არ მოხდება —
მიწა სუზდალის
ცეცხლმა ნაცრად და
ფერფლად აქაროს,
კოცონს მიეცეს წიგნი რუსთაველის —
მშვენიერება იხსნის სამყაროს.

ეს არ მოხდება,
ეს არ მოხდება —
ვაშა, პლანეტის
გრძნეულ ავგაროზს!
მშვენიერება იხსნის სამყაროს,
მშვენიერება იხსნის სამყაროს.

დავცხრით... დავზავდით...
არის, არ არის,
სამტრო, სადაო
და გასაყოფი —
შორი სილურჯე ზეცის კამარის,
მარადი კითხვა ყოფნა-არყოფნის.

განმეორებულ ტრაგედიას უწოდეს ფარსი

განმეორებულ ტრაგედიას უწოდეს ფარსი,
ჩვენ ტრაგედიის სადღეგრძელოდ
აღვმართოთ თასი;
აღვმართოთ თასი,
მის ოქროს ფსკერს
უხმოდ ვემთხვიოთ —
არ სუნთქავს ქვეყნად
მგოსნის სული უტრაგედიოდ.

ხარობდეს მარად,
სულ ხარობდეს ადამის ჯიში,
მას ვაშა ჩვენი,
ვაშა ათჯერ, ვაშა ასჯერაც...
აღვმართოთ თასი,
სადღეგრძელო ჩვენ აღვძრათ მისი,
ვინც, ვინც უწოდა ტრაგედიას
მგოსნის გაჩენას.

ნუ უწყენთ პოეტს
აჩქარებას,
ნურც დაზანტებას;
ნუ უწყენთ პოეტს პირზე ნიღაბს,
ან მკერდზე მიხაკს...
ჩვენ ქვეყნად ეტოვებთ
გულის ცეცხლის
სულ ერთ დანთებას,
ჩვენ გულის ცეცხლი უმთავრესი
საფლავში მიგვაქვს.

აღვმართოთ თასი,
მის ოქროს ფსკერს
უხმოდ ვემთხვიოთ,
იმ ჭეშმარიტის, იმ ნამდვილის
დავცალოთ თასი...
არ სუნთქავს ქვეყნად
მგოსნის სული უტრაგედიოდ;
განმეორებულ ტრაგედიას უწოდეს ფარსი.

ბიჭვინთა და გაგრა

უკვე დილის ნიავში
შემოდგომამ დაპკრა;
გუგუნი და გნიასი
მიჩუმდა და გაქრა.
შირინის და ფარჰადის
ზღვასთან ჩემი გაყრა —
აფხაზეთო, ნახვამდის,
ბიჭვინთა და გაგრა!

ვინც ზღვას ღელვის სიმძლავრე
და ცას ფერი მისცა;
მთებად იქცა სიმწვანე,
მთა სიმწვანედ იქცა;
ფერი ათას ნახატის
შენი ცა და მიწა;
აფხაზეთო, ნახვამდის,
ერცახუ და რინა!

თოლიების ფარფატი
და ზვირთების აფრა;
ჩანჩქერების ნაკადის
მთებში ხარის დაკვრა;
აფხაზეთო, ნახვამდის,
ბიჭვინთა და გაგრა!..
შირინის და ფარჰადის
შენთან ჩემი გაყრა.

ბაზალეთთან

ქვების, ქედების, მთების ნაჟურო,
ნაჟურო ზღაპრის,
ლექსის ტაეპის,
შენ საგანძურო, შენ საგანძურო,
მასმინე შენი ხმა უკვდავების.

ხომ მანდ დგას ისევ
ოქროს აკვანი,
ცალთვალა გმირო,
ტბავ ბაზალეთის?..
გახსნილი არის ყველა ცხრა კარი
აღმოსავლეთის და დასავლეთის.

ლეგენდა არის
მხოლოდ ზღაპარი,
ცხადზეც ნაკლები...
აზრზეც ნაკლები...
არა აკვანი, არა აკვანი —
მხოლოდ აკვნები,
მხოლოდ აკვნები!

მხოლოდ აკვნები —
მხნე და გულადი
შენი ჯილაგის
და მონაგარის,
არც იმ ოქროს და
არც იმ ფოლადის —
ხის, იმ მადლიან ხის ფესვმაგარის.

მიწის ნაჟურიდ,
მზით და სინათლით
ნაკვები უხვად,
ხე ჯიშიანი,
რომ შიგ ფეთქავდეს ძარღვი სინედლის,
რომ შიგ გადოდეს ფოთლის [illegible]
თუ ხარ ცხადი და
არ ხარ [illegible]
შენ, მოუთმენ [illegible]
ტბავ ბაზალეთის,
გახსნილი არის ყველა ცხრა კარი
აღმოსავლეთის და დასავლეთის.

ჭალები

კაცმა არ იცის,
რომ შენც გქონდა
წლები ბავშვობის;
შენც იმ წლებს, იმ წლებს
ისე ასცდი,
ისე დაშორდი —
ტკბილი სიზმრები
იმ ზაფხულთა,
იმ ცივ ზამთართა,
შენც თვით არ იცი
სად დაიწყო,
ან სად დამთავრდა.

ასი წელია, შენი დროის
შენ ხარ სნორფერი,
ასი წელია
ქედზე გადგას
რკინის უღელი;
ბრუნავს, ტრიალებს
შემართული წუთისოფელი
და შენც აბრუნებ
და შენც ბრუნავ
და შენც უმღერი.

სალამი, მთებო,
ჩემო მთებო,
ჩემო ჭალებო!
ლურჯო ყანებო,
ყარანებო
და ყვანჩალებო...
ისე წავედით, ისე დავწყდით,
ისე დავშორდით,
კაცმა არ იცის, რომ ჩვენც გვქონდა
წლები ბავშვობის.

ქალაქი ხონი

...და ისევ შენთან,
მთელი სხეულით,
მთელი სიცოცხლით,
მთელი წარსულით,
მე ისევ მთელი,
მე დამსხვრეული,
მე ისევ მხნე და
გადაქანცული.

ვეჭიდებოდი სიტყვებს და ფრაზებს,
ვითომც დიდ რაზმებს,
დიდ გოლიათებს
და საოცნებო დიდების გზაზე
ზეცას ვუწვდენდი მთელ კორიანტელს.

კეთილისა და ბოროტის ჭიდილს —
ჭირის და ლხინის,
დარის და ავდრის;
ლოცვის და წყევლის,
ნათლის და ბინდის;
ნექტრის და შხამის,
ხვატის და ზამთრის;

ნდობის და იჭვის,
შურის და ხათრის;
მხეცის და ბატკნის,
ქორის და ჩიტის —
კეთილისა და ბოროტის ჭიდილს,
კეთილისა და ბოროტის ჭიდილს

ჩავერთე სიყრმით,
ოცნებით სავსე,
სახელით წინსვლის,
სახელით ხვალის
და ბოროტების ჯავშნიან თავზე
ვაელვე ჩემი ფარიც და ხმალიც.

შავ ბუნაგს ყველას
მივუხტი სახტად;
ჩავუხტი წყალთან
ურჩხულის ნოლას;
ვუმსხვრიე ხუნდი დემონის კართან
ათასი წლების შიშსა და ძრწოლას.

სიმაგრე ყველა
ვარყიე ცხრაგზის,
ცხოვრების ბებერ კანონის მგლურის —
ეს იყო ჩემი სიცოცხლის აზრი,
ეს იყო ჩემი სულიც და გულიც.

ცხოვრების ჩარხი,
ღმერთთა და ზევსთა
ვაბრუნე ხელში,
ვით სათამაშო...
და ისევ შენთან, და ისევ შენთან,
და ისევ შენთან,
ჩემო ლამანჩო!

წლების გამოცდა

ხარ გამართული
და ხარ ამაყი —
შენს ყურს ხმა მოსწვდა
მცხეთის გუგუნის;
შენ დაადგინე, რომ ის სამარხი
არის ამა და ამ საუკუნის.

შენ ის ხმა ძველი
ძეგლად გეყოფა,
ხმა, ახლაც ცოცხალ
ქვათა ღაღადის.
შენ დაადგინე მთელი ეპოქა
და შენს მტკიცებას წყალი არ გადის.

ახლა მე გეტყვი:
ჩემმა თვალებმაც,
ჩემმა ძალებმაც
დროს არ უმტყუნეს —
მე ჩემი დროის ათას ცვალებას,
ათასგზის ჩავწვდი ჩემს საუკუნეს.

და თუ ხმა ჩემი
ზეცამ შეინდო,
რაც ჩემს სიმს მოსწყდა,
რაც გულს წამოსცდა —
ჩვენ მხოლოდ ერთად,
მე და ჩემი დრო, —
ჩვენ ერთად განგვსჯის წლების გამოცდა.

1980
თბილისი-ბორჯომი.

კაც არს და პიროვნ...

ᲐᲠᲪ ისე ადვილია ცხოვრებაში საკუთარი გმირის პოვნა. ისინი უფრო ოცნებაში არსებობენ ზღაპრებად, თქმულებებად, ლეგენდებად და ვაქაცობის, გმირობის, სიწმინდის სახით მოგვეელინებიან ხოლმე საჭიროების ჟამს.

ბედნიერებაა, როცა ასეთ ადამიანს ბავშვობიდანვე გადაეყრება. კაცს, რომელმაც მიწის მადლი იცის და მოყვასის, თავისი კუთხის, თავისი ქვეყნის სიყვარულით ცხოვრობს, ამგვარი კაცის ხელში გაზრდილი ახალგაზრდა გზას აღარ გიმრუდებს.

ხევსურმა ბიჭებმა გამაცნეს ასეთი კაცი — გაგა არაბული.

ეს კი ასე მოხდა:

საღამო ხანი იყო, ბარისახოში რომ ავედით. მთაში მოქცეული სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი შენობის ეს ორი კორპუსი მიმსვლელის გულს ახარებს. დერეფნებში სიხუმე იყო. მოსწავლეები მეორე დღის გაკვეთილებს ამზადებდნენ. პირველსავე საკლასო ოთახში შევედით. მესამეკლასელები აღმოჩნდნენ. გაუხარდათ უცხოების დანახვა. ჯერ იყურეს რაღაცის მოლოდინში, მერე, სითამამე რომ დაუბრუნდათ, სახელი და გვარიც გვითხრეს: ნათელა ქისტაური, ნაირა ბურდული, ზურაბ არაბული, მზია ზვიადაური, ტარიელ ზვიადაური...

— მაგან სიმღერა იცის! — ახმაურდნენ ყმაწვილები.

— მართლა?

— ლექს უფრო მიყვარს, — მიპასუხა დარცხვენით.

— ხომ არ წაგვიკითხავ? — აღარაფერი უთქვამს. ფანჯარასთან ზურგშექცევით დადგა და მეც სხვებისაკენ გადმოვინაცვლე.

ტარიელმა სიმღერა დაიწყო:

„არხვატო, ჩემო სამშობლო,
ჩიხვ-არწივების ბინაო,
მიამც კი შენს მტერს შემაკლა,
შენს მკერდზე დამაწვინაო...“

თანატოლები გვერდით ამოუდგნენ და ეს ერთი ციცქნა ბალღები უცბად ჩემ თვალწინ დაიზარდნენ.

მეხუთეკლასელებიც შემოგვეერთდნენ, შემდეგ მეშვიდე, მერვეკლასელებიც: თემურ ზვიადაური, ზაურ ხახაური, გიორგი შოთკაური...

— რამდენი ხართ ოჯახში? — ვკითხე გიორგის.

— ოთხ.

— რამდენი და გყავს?

— ხუთ.

—ეგ როგორ?

ჩემს დაბნეულობაზე გაეცინა გიორგის.

— ოთხ ძმაი ვართ, მოსე, ჩიორა, მთისუკა, გიორგი.

შემდეგ გავიგე — აქ ოჯახის სიმრავლეს მამაკაცებით განსაზღვრავენ, ქალზე ამბობენ: „სხვათ ყორის ქვაიაო“.

— რომელი მასწავლებელი გიყვარს? — ვიკითხე ისევ.

— გაგა მასწავლებელი.

—შენს?

— გაგა მასწავლებელი. მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს, მეათეს...

— გაგა მასწავლებელი.

— რატომ?

ზაურ ხახაური ადგა. ზრდადასრულებული კაცის იერი ჰქონდა წვრილკანჭებიან ბიჭს. სადღაც შორს გაიხედა და მითხრა: „კაც არს და მიტომ“.

გავიცანი ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ახალგაზრდა პედაგოგი, გეოგრაფიის მასწავლებელი გაგა არაბული, მაგრამ სანამ თავად ვნახავდი, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორს ვკითხე მისი ამბავი.

— გაგა ჩვენ შევარქვით, ისე გიორგი ჰქვია. ჩვენებურია, ბარისახოელი. ჩვენსავე სკოლა-ინტერნატში სწავლობდა. შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. წარჩინებით დაამთავრა გეოგრაფიის ფაკულტეტი და აქეთ დაგვიბრუნდა. სხვაგვარად არც მოველოდით. აქ მეტად იყო საჭირო მისი ხელი. აკი გამოჩნდა კიდეც უკვე. რაიონში სემინარზე გაგა არაბულის გამოსვლას მუდამ ინტერესით ელიან პედაგოგები...

მართლაც საინტერესო კაცი გამოდგა გაგა არაბული: ძლიერი აღნაგობის, ქვემოდან მაცქერალი, მორიდებული. აი ისეთი მორიდებული, თავად კრძალვას რომ გაგრძნობინებს. კარგი მოქართული, ტაბლიმოუბარი ახალგაზრდა ოჯახურ ცხოვრებაში საკუთარი გზის ძებნა. ისინი უფრო ოცნებაში არსებობენ ზღაპრებად, თქმულებებად, ლეგენდებად და ვაქაცობის, გმირობის, სიწმინდის სახით მოგვეელინებიან ხოლმე საჭიროების ჟამს.

ბედნიერებაა, როცა ასეთ ადამიანს ბავშვობიდანვე გადაეყრება. კაცს, რომელმაც მიწის მადლი იცის და მოყვასის, თავისი კუთხის, თავისი ქვეყნის სიყვარულით ცხოვრობს, ამგვარი კაცის ხელში გაზრდილი ახალგაზრდა გზას აღარ გიმრუდებს.

ხევსურმა ბიჭებმა გამაცნეს ასეთი კაცი — გაგა არაბული.

ეს კი ასე მოხდა:

საღამო ხანი იყო, ბარისახოში რომ ავედით. მთაში მოქცეული სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი შენობის ეს ორი კორპუსი მიმსვლელის გულს ახარებს. დერეფნებში სიხუმე იყო. მოსწავლეები მეორე დღის გაკვეთილებს ამზადებდნენ. პირველსავე საკლასო ოთახში შევედით. მესამეკლასელები აღმოჩნდნენ. გაუხარდათ უცხოების დანახვა. ჯერ იყურეს რაღაცის მოლოდინში, მერე, სითამამე რომ დაუბრუნდათ, სახელი და გვარიც გვითხრეს: ნათელა ქისტაური, ნაირა ბურდული, ზურაბ არაბული, მზია ზვიადაური, ტარიელ ზვიადაური...

— მაგან სიმღერა იცის! — ახმაურდნენ ყმაწვილები.

— მართლა?

— ლექს უფრო მიყვარს, —

ᲘᲡᲘᲜᲘ მასწავლებლები არიან — საერთო-სახალხო სიყვარულითა და პატივისცემით მოცული პროფესიის წარმომადგენლები. ვინ მოთვლის, რამდენ მოწაფეს, რამდენ შეგირდს გაუვლია მათს ხელში, რამდენი უზიარებიათ ცხოვრების სიბრძნისათვის და არა მარტო წიგნით, პირველ ყოვლისა, პირადი სიხპეტაკითა და მოქალაქეობრივი გულმხურვალეებით მოუცია მათთვის დაუვიწყარი გაკვეთილები.

„ქომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე ჩვენი დედაქალაქის ის პედაგოგები არიან აღბეჭდილნი, რომელთა შრომა და გარჯაც არა მარტო მათი აღსაზრდელებისა და ნამოწაფართათვის, კოლეგებისთვისაც მრავალმხრივ სანიმუშო და მისაბაძია (მარცხნიდან): გ. სარალიძე, (I საშუალო სკოლა), ნ. ბანდალიანი (98-ე საშუალო სკოლა), ლ. მებურიშვილი (161-ე საშუალო სკოლა), დ. გონდაური (77-ე საშუალო სკოლა), ტ. ევსტაფიევა-კერესელიძე (30-ე საშუალო სკოლა), რ. გოგიბერიძე (166-ე საშუალო სკოლა).

ᲒᲘ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

პრეზენდენტთა ნახევარფინალური მატჩზე

წონასწორობა აღდგა

ᲒᲣᲨᲘᲜ ვილნიუსში გაიმართა 5. ალექსანდრია-მ. ლიტინსკასა ნა ხევარფინალური მატჩის ბოლო პარტია, რომელშიც თეთრებით ალექსანდრია თამაშობდა. ახალნდური დაცვის თეორიული ვარიანტი ალექსანდრიამ კარგად გაითამაშა და უკეთესი პოზიცია მიიღო. როგორც ჩანს, ლიტინსკაია ვერ გაერკვა პოზიციის ნიუანსებში და პასიური სვლებით მდგომარეობა გაიუარესა. უკვე ოცდამესამე სვლისთვის ალექსანდრიამ შეძლო პოზიციის კონსოლიდაცია და ფიგურების მაქსიმალურად კარგ უჯრებზე განლაგება. თეთრების პოზიცია სტრატეგიულად მოგებული იყო. 32-ე სვლაზე ქართველმა მოკადრაკემ პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

მეათე პარტია
ალექსანდრია — ლიტინსკაია
ახალინდური დაცვა

1. d4 ᲫᲤ6 2. c4 e6 3. ᲫᲤ3 b6 4. ᲫᲒ3 ᲩᲑ7 5. a3 d5 6. cd ed 7. g3 ᲩᲓ6 8. ᲩᲒ2 0-0 9. 0-0 c6 10. ᲫᲔ5 ᲛᲔ7 11. ᲫᲓ3 ᲫᲑᲓ7 12. ᲩᲤ4 ᲤᲤᲔ5 13. ᲤᲒ1 ᲫᲔ4 14. ᲔᲒ ᲫᲒ5 15. Ფ:c3 ᲛᲔ6 16. Ჩ:d6 Მ:d6 17. ᲛᲒ2 ᲤᲐᲓ5 18. ᲤᲒ1 ᲛᲗ6 19. b4 a6 20. a4 ᲫᲐ5 21. b5 ab 22. ab cb 23. ᲫᲒ7 ᲫᲔ7 24. ᲫᲔ5 ᲛᲔ6 25. Ძ:f7 ᲛᲐ7 26. ᲫᲔ5 Ჩ:c3 27. Მ:c3 ᲫᲐ6 28. ᲛᲐ7 ᲫᲑ4 29. ᲤᲒ7 ᲛᲗ6 30. ᲛᲐ3 ᲛᲓ6 31. ᲤᲐ7 ᲛᲑ8 32. ᲫᲓ7 შავები დანებდნენ.

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა 5:5. მატჩში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა დამატებითი ორი პარტია. ორშაბათს, 6 ოქტომბერს თეთრებით ითამაშებს ნ. ალექსანდრია.

ᲒᲣᲨᲘᲜ უნდა გამართულიყო გაფრინდაშვილი-იოსელიანის ნახევარფინალური მატჩის უკანასკნელი მე-14 პარტია, მაგრამ მსოფლიო ექსჩემპიონმა უკანასკნელი ტაიმ-აუტი გამოიყენა. მეტოქეები დღეს შეხვდებიან ერთმანეთს.

Ე. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲡᲔᲗᲑᲔᲚᲘ.

ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ

ᲢᲘᲚᲑᲣᲠᲒᲨᲘ დამთავრდა 12 დიდოსტატი ვაჟის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თანამედროვეობის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, რომელმაც 7,5 ქულა დააგროვა. ბოლო ტურში მან ყიანმთ დაამთავრა პარტია მიხეილ ტალთან. კარპოვის დაწევა შეეძლო მხოლოდ უნგრელ ლაიოშ პორტიშს, მაგრამ ბოლო ტურში მანაც მშვიდობიანად დაამთავრა შეხვედრა რობერტ ჰიუბნერთან (გფრ) და 7 ქულა დააგროვა. მესამე ადგილი წილად ხვდა იან ტიმანს (ჰოლანდია) — 6,5 ქულა.

● ●

Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ Ე. ᲑᲝᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ —ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობაზე წყვილთა ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს ალექსანდრე მეტრეველმა და ევგენი ბობოედოვმა, რომელთაც დაამარცხეს კონსტანტინე პუგაევისა და ალექსანდრე ზვერევის წყვილი.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ციროდენას ეკრანი“. 10.00 — „შეკვეთილი ოფიციალური ენა (ფ.), 10.30 — „ჩილოცავთ, მასწავლებელო!“ — „კონცერტი, 11.00 — „სამეურნეო მეცნიერების სიახლენი, პრობლემები“. (განმეორებით ფ.). 11.45 — „ეინონარ.ყვავი, 12.00 — „ფილმ.ეურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. ფერადი. (სტუდიაში — დოცენტი თ. ვაჩნაძერაძე), 12.30 — „კინოავფიშა“, 13.00 „ვესანი“ (ფ.), 13.30 — ფილმ-კონცერტი — „ეარეს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ოსტადან ხუნწარია (მ.), 13.45 — „დღეს მასწავლებლის დღეა“ (მ.), 14.15 — „ეპიერეკია „ზრენგა“. ფერადი. (განმეორებით), 15.10— „კინოს მოყვარულთათვის“, 16.15 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 17.15 — „კოსმონიგორ ელაარდ კოლმანოვსკის სიმღერები“ (ფ.). 17.45 — ფილტიპლი.ეაციური ფილმი, 18.00 — „ჩილოცავთ მასწავლებელო!“ (ფ.), 19.00 — ფეხბურთი სსრ ეკავშირის პირველობაზე: მოსკოვის „სპარტაკი“-თბილისის „დინამო“. რეპორტაჟი მოსკოვიდან, 20.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ციმბირის ცხელი დღეები“. ფერადი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — „ჩილოცავთ მასწავლებელო!“ — „სითბო გულისა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „კინოპანორამა“ (მ.), 00.05 — „საზღვარგარეთის ესტრადის მელოდიები და რიგები“ (მ.).

მეორე პროგრამით: 20:20 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ეუჩაზე“, 21.50 — კონცერტი, 22.30 — საგელევიზიო სპექტაკლი „დაგვიანებული ყვავილები“.

ᲗᲣᲐᲢᲠᲘ

5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

მარჯანიშვილის სახელობის-სახელმწიფო აკადემიური — ᲛᲐᲓᲐᲛ ᲡᲐᲜᲔᲢᲘ (სეზონის გახსნა. პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲠᲙᲚᲔᲑᲘ.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრარულ-სამრეწველო-საავაჭრო გაერთიანება და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲒᲔᲚᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რესპუბლიკური ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება, სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების ონკოლოგიის კათედრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალაქის მთავარი ონკოლოგი, სკკპ წევრი 1944 წლიდან

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲘᲚᲐᲜᲘᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ
ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

რეპერტუარის მრავალსახეობა

ᲓᲦᲔᲡ, 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ თავის 53-ე სეზონს იწყებს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. გასულ სეზონში თეატრმა მაყურებელს არაერთი მნიშვნელოვანი დადგმა უჩვენა. ერთ-ერთი იყო, მაგალითად, ლალი როსებას „პრემიერა“ (დამდგმელი რეჟისორი — მ. კუპუხიძე). ამ სპექტაკლით თეატრმა შეიძინა ახალი დრამატურგი, ნიჭიერი მწერალი, რომელსაც საოცარი სიმძაფრით აქვს ნაგრძნობი თეატრალური ცხოვრება, მთელი თავისი წინააღმდეგობებით, სირთულით, ტკივილით და სიყვარულით. ლ. როსებას ყოფითმა დრამამ, გამოკვეთილმა ხასიათებმა შესანიშნავი განხორციელება ჰპოვეს მედეა კუპუხიძის სპექტაკლში.

ეს შემოქმედებითი ურთიერთობა გრძელდება: მ. კუპუხიძე ახალ სეზონშიც დგამს ლ. როსებას პიესას „სეზონის გახსნას“. ამ სპექტაკლში მაყურებლები შეხვდებიან მსახიობებს ელ. ყიფშიძეს, გ. გაბუნიას, ზ. იოსელიანს, ნ. ჩხეიძეს, ნ. ჩიქვინიძეს, ი. ტრიპოლსკის, ი. უჩანეიშვილს, ნ. მგალობლიშვილს, ა. მიქაძეს.

გასულ სეზონშივე დაიდგა, მაგრამ მაყურებელს ჯერ არ უნახავს ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“. ამ სპექტაკლის პრემიერა, როგორც მკითხველებმა იციან, გაიმართა იტალიაში (დამდგმელი რეჟისორები არიან გ. ლორთქიფანიძე და გ. თოდაძე, მხატვარი — ო. ლეთანიშვილი, კომპოზიტორები — ჯ. კახიძე და ბ. კვერნაძე). „მე ვხედავ მზეს“ პირველად 1962 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში და დიდი წარმატებითაც გადიოდა. მაყურებელს დღემდე ახსოვს ქ. კიკნაძის ხატია, გ. ქავთარაძის სოსოია, და უნებურ პარალელებსაც ბაავლებს, ალბათ, ახლანდელ წარმოდგენასთან. დღეს ამ გმირებს განასახიერებენ უკვე სხვა თაობის წარმომადგენლები, ახალგაზრდა მსახიობები ნ. ჩიქვინიძე და ა. მიქაძე.

თეატრი მუშაობს სხვა დადგმებზე, ესენია: ქ. ქუხუკაშვილის პიესა-ზღაპარი „ლილეი“ (რეჟისორი — გ. თოდაძე), ლ. ზორინის კომედია „დიონი“ (რეჟისორი — გ. ლორთქიფანიძე), შექსპირის „კორიოლანისი“ (რეჟისორი —გ. ლორთქიფანიძე), თანამედროვეობის თემაზე დაწერილი დრამა — ალ. ჩხაიძის „უკანასკნელი მონოლოგი“ (რეჟისორი — ლ. ნიკოლაძე). საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს უძღვნის თეატრი ლ. მილორავის პიესას „უკანასკნელ იფარიძეს“ (რეჟისორი —ლ. მირცხულავა). მაყურებელი ნახავს ავრეთვე ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“, მ. ბარათაშვილის „სართულებს“. პერსპექტიულ გეგმაში გაქვს ბულგარელი დრამატურგის ს. სტრატიევის „ზამშის პიჯაკი“, ა. ჩეხოვის „ივანოვი“, ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“ (ინსცენირების ავტორია ლ. როსება).

Ლ. ᲚᲚᲝᲜᲢᲘ,
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

● ●

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲠᲘᲒᲐ. რესპუბლიკურმა ცოდნის სახლმა ოგიგლებისათვის მოაწყო ქართველ მეგობართა თავისთავად ხელოვნებასთან შეხვედრა. დღეს აქ გაიხსნა ქალაქ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლის გამოყენებითი ხელოვნების სახალხო სტუდია „ოპიზრის“ ნაწარმოებთა გამოფენა. (საკდესი).

ᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

● **ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲛᲔᲢᲔᲮᲘ“**
● **ᲨᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲭᲣᲩᲘᲡ, ᲑᲐᲛᲑᲘᲡ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ**

თუ წინა რეპორტაჟებში საუბარი გვჭონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის შემოგარენისა და თვით ამ მიდამოების რეკონსტრუქციის სამუშაოებზე, ამჟამად მკითხველს გვინდა მოვუთხროთ იმ დიდ საქმეებზე, რომლებიც თბილისის ძველ ისტორიულ უბნებში, თავისებურ ნაკრძალად გამოცხადებულ ნაწილში ხდება.

უპირველეს ყოვლისა, „თბილისქალაქპროექტის“ ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალურ არქიტექტურულ სახელოსნოს მივაშურეთ, რომელმაც მეტეხის პლატოზე, რუისის ქუჩაზე მდებარე ერთ ძველ სახლში დაიდო ბინა.

სახელოსნოს ხელმძღვანელი არქიტექტორი გიორგი ბათიაშვილი გვისახელებს ძირითად ობიექტებს, სადაც ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული.

მეტეხის აღმართი მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას განიცდის. ტაძრის გვერდით, კლდის ქიმზე № 3 და № 5 სახლები მალე თანამედროვე კომფორტულ სასტუმროდ გადაიქცევა. ამავე დროს ამ სახლებს შენარჩუნებული აქვთ გარე არქიტექტურული მხატვრული სახე, რომ არ დაირღვეს მეტეხის კლდის-გასწვრივ ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ანსამბლის მთლიანობა.

სასტუმროს აშენებს თბილისის აღმასკომის საბინაო მეურნეობის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ტრესტი. აქვე შეეგებდით ამ ტრესტის მმართველს გ. კერესელიძეს, მთავარ ინჟინერს ზ. იამანიძეს, აგრეთვე სასტუმროს პროექტის ავტორებს გ. ჯაფარიძესა და ვ. ორბელაძეს, ისინი თავს დასტრიალებენ მშენებლებს, რომ გასარკვევი საკითხები ადგილზევე გადაწყდეს და მუშაობაში შეფერხებები არ ჰქონდეთ.

— ჯერჯერობით სასტუმროს „მეტეხი“ ჰქვია, — გვეუბნება გ. კერესელიძე, — აქ იქნება ორ და სამოთახიანი რვა კომფორტული ნომერი. მას კლდის ქიმდან ხის გადმოკიდებული მოჩუქურთმებული აივნები დაამშვენებს, მეტეხის ქუჩიდან კი იგი თანამედროვე სახეს მიიღებს.

გ. ჯაფარიძისა და ვ. ორბელაძის პროექტით ხორციელდება მეტეხის ქუჩის №№ 1, 2, 4, 6, 7, 8 სახლების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია, მოხდება მათი „გაახალგაზრდავება“, რაც ამ საცხოვრებელი სახლების მხატვრული ღირსებების გამოვლენას გულისხმობს. № 2 სახლში ისევ სუვენირების მაღაზია იქნება, № 4-ში კი რესპუბლიკური ტურისტული საბჭოს სააგენტო დაიდებს ბინას.

იმავე არქიტექტორების პროექტით რესტავრაციას განიცდის ღვინის აღმართი. აქ ჯერ კიდევ შარშან გაიხსნა ძველი თბილისური ყაიდის ღვინის სარდაფი, მან უკვე თბილისელების ყურადღება მიიპყრო. დანარჩენი სახლების პირველ სართულებში, რომლებიც უკვე გამოთავისუფლებულია, გაკეთდება ღვინის საფიქრალი და ისეთი სამრეწველო ობიექტი, სადაც ეროვნული ღვინოებისათვის საჭირო ჭურჭელი ამოიკვეთება.

ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ ᲮᲘᲓᲒᲐᲚᲛᲐ, სამღებროს ქუჩაზე შორიდანვე თვალს მოგტაცებთ თეთრი სვეტებითა და ჩუქურთმიანი აივნებით დამშვენებული სახლი, მისი რესტავრაცია საკუთარი სახსრებით გაანაზორციელა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის „საქსათბურმშენმა“, რომელმაც ამ შენობაში დაიდო ბინა. ამჟამად აქ შენობის შიდა კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ასევე სამღებროსა და გორგასლის ქუჩების კუთხეში ხიდმშენის № 39 სამმართველო თავისი სახსრებით აწარმოებს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ასეთი პატრიოტული თაოსნობა — ძველი თბილისური სახლების საკუთარი სახსრებით აღდგენა არაერთმა დაწესებულებამ ითავა.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ხეთაგუროვის ქუჩის № 5 სახლში არქიტექტორების გ. ბათიაშვილისა და მ. ხაჭაპურიძის პროექტით მიმდინარეობს სახლის ფასადის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, იგი ისეთსავე სახეს მიიღებს, როგორიც ამ უბნისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო სახლის პირველ სართულზე, თაღოვან დარბაზებში მოეწყობა სახაზე და სახინკლე. ფერწერული ბრის გაკეთება დავალებული აქვს მხატვარ ამირან გოგოლაშვილს.

სახეს იცვლის, ლამაზდება დედა თბილისი.

Ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.



მოკლედ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: ამ რესტავრირებულ სახლებში დაიდება ბინას ახალი სასტუმრო (ზემოთ); ძველი სახლის რესტავრაცია (სამღებროს ქ.).
თ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ. (საკ. კორ.). მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები აწარმოვა გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების გაერთიანებულმა სამეცნიერო ექპედიციამ. მისი მიზანი იყო შეედგინათ ამ რაიონის ისტორიული ძეგლებისა და ადგილების რუკა, ტოპონიმიკური ატლასი, რომლებსაც დაერთვებოდა სამეგრელი, განმარტებები, გადმოცემები და ლეგენდები. ექსპედიცია შეხვდა 300-ზე მეტ მთხრობელს და ჩაიწერა 1.500 ტოპონიმი.

✦ ✦

ᲘᲖᲔᲘᲛᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. „ცისფერი ალის“ საქალაქო კანტორამ ახალმოსახლეობა იზეიმა. იგი ქალაქის ცენტრში, ოქტომბრის მაგისტრალურ ქუჩაზე სამსართულიან კაპიტალურ შენობაში გადავიდა, რომელიც ტყიბულშახტმშენის სამმართველომ ააგო.

Ი. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲓᲜᲔᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიუწყებოდით, ციურიხში წოლისყრის შედეგად გამოვლინდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მეტოქეები ევროპის ჩემპიონთა თასისა და ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში. გაცნობებთ წოლისყრის სხვა შედეგებსაც.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ ერთმანეთს შეხვდებიან ასეთი წყვილები: „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ჰონვედი“ (უნგრეთი), „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (ბერლინი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „ნანტი“ (საფრანგეთი)— —„ინტერი“ (იტალია), ცსკა „სპარტაკი“-ოსეთ ზნამე“ (ბულგარეთი) — „შომბერკი“ (ჰოლანდია), „ბაგარია“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), — „აიაქსი“ (ჰოლანდია), „ბაზელი“ (შვეიცარია)— „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), „ბერიდინი“ (შოტლანდია) — „ლივერპული“ (ინგლისი).

ᲗᲐᲡᲚᲔᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲚᲔᲒᲖᲔ ერთმანეთს შეხვდებიან: „ვატერსპეი“ (ბელგია) — „ფორტუნა“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), „კარლ ცაისი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)— „ვალენსია“ (ესპანეთი), „ვესტ ჰემი“ (ინგლისი) — „პოლიტეხნიკი“ (თბილისი), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „სლავია“ (ბულგარეთი), „ჰაუგარი“ (ნორვეგია)— „ნიუპორი“ (უელსი).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘ ᲤᲠᲔ

ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲯᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ II ლიგის მე-9 ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის 29-ე ტურის მატჩები. სამტრედიის „ლოკომოტივი“ აშხაბადში თამაშობდა ადგილობრივი „ოლხოზჩის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ამრიგად, დარჩენილი ბოლო ტურის მიუხედავად, სამტრედიელმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი — მ. ხურცილავა) უკვე მოიპოვეს პირველი ადგილი და მასთან ერთად პირველ ლიგაში გადასვლისათვის ერთ-ერთ ფინალურ ქვეჯგუფში ასპარეზობის უფლება.

ᲒᲣᲨᲘᲜ „ლოკომოტივისა“ და „ყაირათის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის 26-ე ტური. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 1:0.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲜ-ᲞᲝᲣᲚᲝᲨᲘ (კოსტა-რიკა) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი მასპინძლებისა და ჰონდურასის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:2.

ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ სტუმრად მყოფმა ნიუ-იორკის „კოსმოსმა“, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის საფეხბურთო ლიგის ჩემპიონია, იუგოსლავიაში ანგარიშით 1:0 მოუგო სპლიტის „ჰაიდუკს“. ბურთი გაიტანა იტალიელმა კინალიამ.

● ●

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲚᲔᲑᲛᲐ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ, მოსკოვში ცსკას ძალოსნობის სასახლეში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდა ბუდაპეშტის, ვარშავის, პრაღის, სოფიისა და მოსკოვის 35 სპორტსმენი. პირველობა არავის და